# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | [illegible] | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვით რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## „ივერია"

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**გორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

პარასკევს, 9 თებერვალს,

„ნოვი სვეტის"

ბაღში, მუშტაიდს ახლო,

გამართული იქნება ჭიდაობა ცირკის ბრგე და ღონიერ კაცს სტუპინსა და ტფილისის მოჭიდავე პულა გლდანელს შორის.

დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზედ.

(1—1)


ტფილისი, 6 თებერვალი

ერთი უდიდესი საჭიროება სახელმწიფოსი ის არის, რომ ზედმიწევნით და შეუცდომელად იცოდეს თავის მკვიდრთა რიცხვი. უამისოდ სახელმწიფოს არ ძალ-უძს არც სათვინანსო ღონის-ძიება რამ, არც საეკონომიო ჭეშმარიტს საფუძველზედ დაამყაროს. გარდა ამისა, ყოველივე სხვა მოქმედებაც სახელმწიფოსი, რა კეთერაც გინდ აიღოთ, ასე თუ ისე დამოკიდებულია მკვიდრთა რიცხვის მეტ-ნაკლებობაზე. ნამეტნავად ეს ამისთანა ცოდნა აუცილებელ საჭიროებად გაჰხდა მას შემდეგ, რაკი ქვეყნის საყოველთაო გარემოებამ წინ წამოაყენა საყოველთაო სამხედრო ბეგარა, რომლის სამართლიანად განაწილება და თანასწორებით განფენა მკვიდრთა შორის ერთს უპირველესს მოვალეობას შეადგენს ყოველის კეთილად გაწყობილ სახელმწიფოსას.

დიდი ხანია რუსეთში სამდურავი ისმოდა, რომ ეს მკვიდრთა აღრიცხვის საქმე ვერ არის თავის შესაფერს რიგსა და წესზედ დაყენებული და თითონ მკვიდრთა რიცხვიც არ არის ბეჯითად და გულმოდგინებიერად გამორკვეული. ამის გამო ბევრი უნებური ცდომა, უნებური უმართლობა თავს იჩენდა და ეს მით უფრო საგრძნობელი იყო, რომ თითქმის ყოველი საქმე სახელმწიფოსი ასე თუ ისე მკვიდრთა მეტ-ნაკლებობას უნდა შეეფეროს და შეეწონოს. ეს სამდურავი უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაკი შემოღებულ იქმნა საყოველთაო სამხედრო ბეგარა, იმიტომ-რომ ჭეშმარიტი გამორკვევა მკვიდრთა რიცხვის მეტ-ნაკლებობისა აქ თავი და თავი საგანია. უამისოდ აქ კაცი ერთს ბიჯსაც წინ ვერ წასდგამს ისე, რომ არ შესცდეს და უნებური უმართლობა არ ჩაიდინოს.

რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ნაკლი ამ დიდის საქმისა, როგორც მკვიდრთა აღრიცხვაა, უმაღლეს მთავრობისაგან უკვე შენიშნულია და მთავრობა შესდგომია კიდეც მის აცილებას. სათვინანსო და შინა საქმეთა მინისტრები ერთმანეთში მორიგებულან მასზე, რომ არა უგვიანეს ამა წლისა, ანუ 1891 წ. დასაწყისისა, მოჰხდეს საყოველთაო აღწერა მკვიდრთა მთელს იმპერიაში. ეხლა თურმე უკვე შემზადებულია ყოველივე, რაც-კი საჭიროა, რომ ეს აღწერა შესრულდეს ახალის წესითა და რიგით. საფუძვლად არის მიღებული აღირიცხონ მკვიდრნი დიდი და პატარა, ქალი, თუ კაცი, გაურჩევლად რჯულისა, წოდებისა და ხარისხისა, და მას შემდეგ დადგენილ იქმნას მართალს საფუძველზე მუდამი რეგისტრაცია მკვიდრთა რიცხვისა. ეხლანდელი საოჯახო სიები, სამხედრო ბეგარისათვის შედგენილი, შეიმოწმება, შესწორდება და, საცა საჭიროება მოითხოვს, შეივსება. ამის სახარჯოდ გადადებულია ორ მილიონ ნახევარი მანეთი. პროექტი ამ ახალის წესდებისა ამ ახლო ხანში შეტანილ იქმნება სახელმწიფო საბჭოში გასარჩევად.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ 31 მან. და 79 კაპ., რომელიც ტფილისის ერთ-ერთს სასწავლებელში შეუგროვებიათ შეგირდებს წინამძღვრიანთ-კარის დაზარალებულ სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ.

*** ამას წინადაცა ვსთქვით, რომ ტფილისში ამ ჟამად მრავალი ყალბი მანათიანებია თურმე გავრცელებული. ყალბ მანათიანებს უზის ნომრად 832860 და მკრთალადაც არის დაბეჭდილი. თარიღად 1887 წელიწადი უზის თურმე.

*** ორშაბათს, ყეენობა დღეს, აქაური ფრანგები ჰმართავენ ტფილისში თავის ჩვეულებრივს ბალს თვისთა ღარიბ მოძმეთა სასარგებლოდ. ბალის დროს იქნება ლოტარია-ალეგრიც.

*** გუშინ-წინდელს კრებაზე ქალაქის საბჭომ განიხილა წინადადება სანიტარულ კომისიისა და დაადგინა, რომ ყასბების დუქნები უეჭველად დაფენილი იყოს ან ასფალტით, ან ცემენტით, რათა ადვილად შეიძლებოდეს დაგვა-დაწმენდა და გასუფთავება ამ გვარის დუქნებისა, რომელნიც დღეს დიდს სიმყრალეს ავრცელებენ ქალაქში. იმავე კრებაზე წაკითხულ იქმნა წინადადება ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისა, რომ უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარა სურვილი ქალაქის თვით-მართველობისა, რომელიცა თხოულობდა, რომ ლორის მელიქოვის სახელობაზე სტიპენდიები საბჭომ დანიშნოს ხოლმე და საბჭომვე ამოირჩიოს სტიპენდიანტები.

*** ტომსონის ცირკი 13 თებერვალს ქუთაისისკენ მიემგზავრება. პირველი წარმოდგენა იქ ამ თვეის 18 ექნება და ორის კვირის შემდეგ-კი იქიდამ ბათუმს წავა.

*** ყვირილა (შორაპნის მაზრა): კლუბი-კი გვაქვს, მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ კლუბთან სცენაც იყოს გამართული, როგორც ბევრგან სხვაგან არის, და ათასში ერთხელ მაინც წარმოდგენები იმართებოდეს სხვა-და-სხვა სამადლო და საქველ-მოქმედო საქმის სასარგებლოდ.

*** ქართლი: თუმცა წელს ისეთი ცივი და სასტიკი ზამთარი არ იყო, როგორც შარშან, მაგრამ ნეტა ისევ ისეთი სიცივეები დაგვდგომიყო და წრევანდელს ათას გვარს სენს აცილებიყავით: შარშანდელმა სიცივეებმა ვენახები და ხეხილი ამოაგდო, წლევანდელმა წელმა-კი ხალხი გაქლიტა. ინფლუენციას ხალხი არ გაუფუთხილდა, გადაექცათ ფილტვების ანთებად და სულ მუსრი გაავლო სოფლად თუ ქალაქად. საქონლის ჭირიც ბევრგან არის. ძალიან გავრცელებულია ბავშვის ავადმყოფობაც. ზამთარში რომ ასეა, გაზაფხულზედ რაღა იქნება, ღმერთმა უწყის. მოსავალს, მგონი, არა უშავდეს-რა, რადგან სიცივეები არ იყო და თოვლიც საკმაოდ მოვიდა ნიადაგის დასაფარავად.

*** ქარელი: ქარელში აპირებენ წარმოდგენის გამართვას ამ თვეის 8-ს წინამძღვრიანთ სკოლის სასარგებლოდ; წარმოსადგენად ამზადებენ

## ფელეტონი

### ედემის უკვდავების ყვავილები

(მიბაძვა აღმოსავლეთის ზღაპრებისა)

წუხელ საშინელი სიზმარი მეზმანა. ვნახე, ვითომ ქვეყანას ათას ნაირი სენი დარეოდა და მუსრს ავლებდა. ბევრი დედა რჩებოდა უქმრო-შვილოდ, შვილი უდედ-მამოდ. მკვდრები უპატრონობის გამო ასობითა და ათასობით თავ-დანებებულები, დაუსაფლავებლები რჩებოდნენ, ჰფენდნენ საზარელს სუნს, ავსებდნენ ჰაერს საშინელის სიმძაფრითა და უმატებდნენ სნეულებას. გარეულ მხეცებსა და ფრინველებს დრო დარჩომოდათ არამც თუ საქონელზედ და გვამებზედ, სალი და სნეული ადამიანებიც-კი იმათი მსხვერპლი გამხდარიყვნენ. მეც ვითომ საყვარელი დედა ავად გამიხდა. გულ-ჩაწყვეტილი ვუგდებდი ყურს იმის მძიმე სუნთქვასა და გულ-საკლავს კვნესას. ეს არ მაკმარა ვითომ ბედმა და ახლა უფრო უდიდესი უბედურება მეწია: სულ ავად დამიხდნენ ძვირფასი და-ძმები, ნათესავები და მეგობრები. საშინელებაა! ადამიანი, ჰო, ერთ-ორს უბედურებას კიდევ როგორმე გაუძლებს, ეს ამდენი ვაება გულმა როგორ აიტანოს?! მენატრება წამალი, მენატრება ნუგეში-მკვეთელი, მაგრამ არც ერთი, არც მეორე ჩემთვის არსადა სჩანს. მინდა იმდენი ვიტირო და ვიცრემლო, რომ ჩემის მდუღარებით შევაძრწუნო ცა და ქვეყანა, ეგები გამოჩნდეს მხსნელი, მაგრამ ცრემლიც არ მოდის—გამშრალა!

ბოლოს იმედ-მიხდილმა დავიწყე ლოცვა. ვლოცულობდი უბრალო სიტყვებით, რაც მომაგონდებოდა და რასაც ენაზედ მომაგდებდა ჩემი ჩეთუთქული გული. ვამბობდი: „უხილაო მამაო, მშველო გაჭირვებულთა, ნუგეშო სასოწარკვეთილთა, მფარველო სიმართლისათვის დევნილთა და ტანჯულთა! შენ გევედრებიან ყოველნი დიდებულნი და მცირენი. ვიცი, რომ შენდამი ლოცვა ღარიბისა და უბედურისა უმეტეს სხვებისა შეიწირების; შენ გადიდებს ყოველი მეტყველი და პირუტყვი; ვიცი, რომ შენი მოწყალე თვალი ჰხედავს აგრეთვე ყოველს ხეს, ყვავილსა და ბალახს, შენით არის მოცული ჩემი გული და გონება, შენ გევედრები, ნუ დამაგდებ უნუგეშოდ, მიშველე რამე".

დავასრულე თუ არა, მოვიდა ერთი შავად ჩაცმული თეთრ-წვერა მოხუცი და მითხრა: „ადეგ, რწმენამან შენმან გიხსნას შენ, მომეცი ხელი და წავიდეთ." მეც მივეცი ხელი და დავიწყეთ სიარული. ჩქარის სიარულის გამო ვერც-კი ავდიოდი ასაღებლად ყველა იმ შთაბეჭდილებათ, რომელიც-კი მგზავრობის დროს განუწყვეტლად ერთმანეთზედ გვიხვდებოდა. მე კარგად ანგარიში ვერც-კი მიმეცა ჩემის თავისათვის რასა ვხედავდი, ვგრძნობდი მხოლოდ, რომ ჩემს წინამორბედს დასავლეთისაკენ მივყავდი.

დღე იყო, მოწმენდილს ცაზედ მზე კარგა მაღლა შემდგარიყო და შეუბრალებელის სისასტიკით ჰბუგავდა გარემოს. ყველა სულიერი გრილოს შეჰფარებოდა. მცურავსაც-კი სადმე ხვრელში მოეკალათნა. სიცხისაგან თვალთ მიბნელდებოდა, ოფლი წურწურითა მდიოდა, მაგრამ დაღალვასკი არა ვგრძნობდი, არც მგზავრობას ვემდურებოდი, მხოლოდ ეს მომდიოდა ფიქრად და თავს ვეკითხებოდი: ვინ არის ეს კაცი? სად მივყევარ? რა წამალი უნდა მომცეს? ცისკარი გამოჯვებისა და ვარსკვლავი ხსნისა ქვეყანას ისევ აღმოსავლეთიდამ უნდა გამოუბრწყინდესო და მაშ ეს დასავლეთისაკენ რად მიმაქანებს-მეთქი?

მინდოდა მეკითხნა, მაგრამ იმას ისეთი მიუკარებელი სახე ჰქონდა და ისეთის მკაცრის შეხედულობისა იყო, რომ ძალა-უნებურად პირში მოსული სიტყვები უკანვე მიბრუნდებოდა. უცებ მომიბრუნდა და ხელით მანიშნა, დავისვენოთ, დავსხდეთო. მაშინ დავინახე, რომ ერთს მაღალს მთაზედ ავსულიყავით, ერთის ჩერქიანის დიდ ხის ქვეშ ვისხედით, კამკამა წყაროს ახლო, რომლის ნაპირებიც ბროლითა და მარგალიტით იყო მოკირწყლული. გახურებული მიველ, ჩამოვჯექ პატარა, უცნაურს მოამბესთან და დაუწყე კვლევა. წყაროს აქეთ იქით ნაპირებზედ ნაირნაირი ყვავილები ჩამწკრივებულიყო. ზედ კიდევ პაწაწა ჩიტუნიები მოფრინდებოდნენ ხოლმე, დალევდნენ წყალს, მერე შიგ გაიბანებოდნენ, ამოვიდოდნენ, ჩამოსხდებოდნენ ნაპირებზედ და გაიბღერტავდნენ მხრებს. მხრის ნაბანი მარგალიტის მძივად იქცეოდა და ჩაიბნეოდა წყაროში... მერე სიყვარულით ერთმანეთს გადაეხვეოდნენ და ჭყივილით შეეფარებოდნენ ტყის მყუდროში, რომელიც მშობლიურის ალერსით დამალავდა ხოლმე იმათ თავის უბეში, თითქო ეშინიან, არავინ დამიხოცოს ჩემი საყვარელი პატარეებიო! მაგრამ რა დახოცა, რა სიკვდილი, ვის გაუგონია!? რა საკვირველი მხარე ყოფილა, შენი ჭირიმე! უშიშ-უჭმელად ხალხი და პირუტყვი ყველა მაძღარი დაიარებოდა. ვერა ჰნახავდი, რომ ვისმე ან ყვავილი მოეწყვიტა, ან ბალახი გაეთელა. ესეც-კი დიდ ცოდვად მიაჩნდათ: იტყოდნენ, „განა რომ არაფერს გვეუბნებიან, მაგათ-კი არა სტკივათ და არა ჰგრძნობენო?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაც გინახავს, ველარ ნახავ“ ცაგარლის სამ-მოქმედებიანს კომედიას.

*** გორი: კარბის ბლაღოჩინად სვ. ლიაძის მაგიერად, რომელიც სულ რამდენიმე კვირა იყო კარბში და მერე ერევანში იქმნა გადაყვანილი, ეგზარხოსმა პალლადიმ დანიშნა გორის საკრებულო ეკკლესიის მეორე მღვდელი მ. იოილ გამრეკელი, რომელიც ჯერ ისევ ახალგაზდა, მხნე და გაგებული მღვდელია. ყველას იმედი აქვს, რომ მ. იოილი კარგად დააწყობს კარბის საბლაღოჩინოს საქმეებს.

*** ავჭალა: შარშან ზაფხულს მცხეთის ქვემოთ, მუხათ-გვერდს ახლოს დაირჩო ბანაობის დროს ახლად მოკრეფილი ჯარის-კაცი, ტომით ახალციხელი ქართველი. იმისი გვამი იპოვეს ავჭალელმა მენახირეებმა, მტკვრის ნაპირას გამორიყული. გამოძიების შემდეგ, ავჭალის მამასახლისმა გვამი დაასაფლავა მტკვრის პირასვე რიყეზედ. წარსულს კვირას ამ გვამისა ძვლები და დაგლეჯილი ტანისამოსი-ლა იპოვეს. ამბობენ, ნადირმა თუ ამოიღო საფლავიდამ და გააურიგოვა, რადგან გვამი თითქმის ზეზეურად იყო დამარხული.

*** ბარის-ახეთი. წრევანდელმა ზამთარმა წინა პირველად ძალიან შემოუტია აქაურობას და სუსხი მისცა ხალხს. ამ ჟამად-კი მშვენიერი თბილი ამინდი სდგას. ამიტომ საქონლის საკვები ძლიერ იაფია. წელს კარგი მოზრდილი თივის ძირი, რომელიც თხუთმეტი-თექვსმეტი ფუთი გამოვა, მანეთი ექვსი აბაზი ფასობს. „ინფლუენცია“ ცოტა მიჩუმდა და ამ ხანად აღარ ისმის ბარის ოსებში მისგნით ზარალი.

*** თებერვლის 6, ღამით, თ. ელიზბარ დიმიტრის ძემ ერისთავმა საკუთარ სადგურში დამბაჩა დაიცა პირში და თავი მოიკლა.

*** პოლიციის მეხუთე ნაწილში, თებერვლის 6, ტფილისის მცხოვრებელს სოლომონ შაიკოვს მოჰპარეს 35 მანეთად ღირებული 2,300 ცალი ქათმის კვერცხი.

---

„ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იგი დიდის მადლობით მიიღებს თ. იასონ ციციშვილის შემოსაწირ წიგნებს და ამ კვირაში გაჰგზავნის კაცს ხსენებულ შემოწირულების მისაღებად.

---

## ქართული თეატრი

რუსთაველი, ოთხ-მოქმედებიანი პიესა კ. მესხისა.

მესამე მოქმედება*). ღამეა, შოთას სასახლში ვართ. რუსთაველთან შეყრილნი არიან მაღხაზი, იასონ და გივი, მეგობრის მომხრენი. ამხანაგები აფრთხილებენ შოთას, საფრთხეს გიმზადებენ და გაფრთხილდი, შენი მიწერ-მოწერა არავინ გაიგოსო. გედევანი სანდო არ არისო. რუსთაველი უპასუხებს, რომ საქართველოს ბედი არ დაეყრება მაგ ქორწინებით. თუ ქქვსის თვით შეაჩერე ეს საქმე, მერე შევიძლებ, რომ დავით სოსლანი არ გამეფდესო. გედევანი ჩემთან სიყმაწვილითვე შეზრდილი მეგობარია და არ გამცემს. წერილებს-კი ძალიან სანდო პირს ვატან და იქაც არაფერია იმისთანა, მხოლოდ უკანასკნელს წერილში, რომელიც ჩემის მიის შეილს მივწერე, დიდის გავლენის მქონეს ოსეთში, ნათქვამია, რომ დავით სოსლანი როგორმე შეაჩერეო. წერილის შინაარსს უამბობს. შემდეგ რუსთაველი გედევან ორთელიშვილს იბარებს და გამოჰკითხავს. ორთელიშვილი გამოუტყდება, რომ შენი მტერი ვარ, რადგან პატარაობითვე ყველაფერში მჯობნიდი, ყველანი თაყვანს შენა გცემდნენ, შენ პირველობდი, შემდეგ სახლთ-უხუცესად შეიქმენ. მერე ერთხელ ერთს მშვენიერს ქალს შევხვდი, შემიყვარდა და უნდა შემერთო კიდეც, მაგრამ ამ ქალმა შენ მოგკრა თვალი და დაგემონა. შენ გულ-ცივად მოეკიდე და ამის გამო თავი დაირჩოვო. ყველგან შენის მიზეზით ვარ უბედური და ამიტომ გადავწყვიტე შენი განადგურება, შენი დაღუპვა. ვიბრძოლოთ ეხლავე, თუ გინდაო. რუსთაველი ორთელიშვილს ჰკიცხავს, მეგობრობას უღალატეო, და ეუბნება, რომ მე შენთან ბრძოლას არ გიკადრებ, წადი და რაც გენებოს, ისა ჰქენიო. შემდეგ მარტო დარჩენილი ღმერთს შეჰვედრის: აპატიე, რადგან არა უწყის, რასა იქმსო. ამ დროს მაღხაზი შემოირბენს და თავისს სიზმარს უამბობს. სიზმარი უნახავს, ვითომ რუსთაველი მტრებს დაუძლევიათ და სიკვდილით დაუსჯიათ. რუსთაველი ამშვიდებს მაღხაზს და შემდეგ ამბობს, რომ

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს,
სუსტი და ძალ-გულოვანი!“,

მთვარეს ქვედრება, გა მინათე ბნელი და მძელი გზა ცხოვრებისაო, და გადის.

ცარიელს სცენაზედ შემოდის ორთელიშვილი და ოთხი ჯარის-კაცი შემოჰყავს. იმათ უცხადებს, რომ აქ უნდა გაჯოთ, ვიდრე რუსთაველის დ პატიმრების ბრძანება მოგვივაო. ჯარის კაცებს უკვირთ, რისთვისაო. იმისთვის, რომ დავით სოსლანის მოკვლა სურდაო, უპასუხებს ორთელიშვილი. ხმაურობაზედ მაღხაზი გამოდის. ორთელიშვილი პოეტის ოთახს გასაღებსა სთხოვს. მაღხაზი ხანჯალ ამოღებული დგება კარებთან და არ უშვებს. ამ დროს რუსთაველიც გამოდის ხმალ ამოწვდილი. ორთელიშვილს ეუბნება, რომ თუ მეფის გამოგზავნილი ხარ ჩემ დასაჭერად, ბრძანება მაჩვენეო. ორთელიშვილს ბრძანება არა აქვს. ჯარის კაცები რუსთაველს მიემხრობიან და შოთა დედოფალთან აპირებს საჩივლელად წასვლას. ამ დროს ათაბაგს დედოფლის ბრძანებაც შემოაქვს. რუსთაველს ხელიდგან ხმალი გავარდება და ნაღვლიანად ამბობს:

„ნავთ სადგურიდამ ჩემი გემი აჰა დაიძრა
და მიაქროლებს იმას ქარი უცნობ ქვეყანას“.

მეოთხე მოქმედება ისევ დედოფლის სასახლეში სწარმოებს. დედოფალი ნაღვლიანად დასცქერის რუსთაველის განაჩენს, რომელიც დასამტკიცებლად აქვს მსაჯულთაგან წარდგენილი. ჰკითხავს ორთელიშვილსაცა და ზაქარია ამირ სპასალარსაც, აღიარა-კი ბრალდებულმა თავისი დანაშაულიო, სწუხს, მაშ მართლა მიღალატა რუსთაველმა, ვის-ღა უნდა განვუზიარო

„აწ ჩემი ნდობა? ვის მივმართო? ვის დავეკითხო,
თუ-კი ამ კაცმა, რომელს ვსახდი საქართველოს მზედ
და სათაყვანოდ, მიღალატა ეგრე უწყალოდ“.

ზაქარია უპასუხებს: რუსთაველმა სთქვა სამსჯავროში, რომ არ მინდოდა თამარი დავით სოსლანს შეერთო, მაგრამ სოსლანის მოკვლა-კი არა მქონია განზრახულით. დედოფალი გულის ქენჯნით აწერს ხელს სიკვდილის გადამწყვეტელს განაჩენს და ამბობს, რომ

„წაიღეთ ოქმი, განმაშორეთ, მსურს მარტო დავრჩე!“

მარტო დარჩენილი თამარი თავს მართლულობს, რომ ხელის მოუწერლობა არ შეიძლებოდა, რას იტყოდნენ, რას მიაწერდნენ ამ ჩემს გულის სიჩვილეს, სიყვარულით დაბრმავებული კაცი რომ არ დამესაჯაო. ამ დროს ლიპარიტი დარაჯებს შემოარღვევს, შემოვა და მუხლ-მოდრეკით სთხოვს რუსთაველის პატიებას. მართალია, მე იმისი მტერი ვარ, მაგრამ სიკვდილი-კი არ მინდოდა მაგ დიდად განათლებულის კაცისა, მე მხოლოდ იმის მოშორებას ვცდილობდი. გაფრთხილდე კიდეც, რომ ვერ შესძლებს ის ქვეყნის ურვას

„და უცხო მხარეს შეძენილ სწავლა, გონება
არ გამოდგება აქ, ამ ხალხში, სად სუფევს მხოლოდ
შური და მტრობა!

გევედრები, აპატიე, შეუნდე, აგრე სასტიკად ნუ დასჯი, რადგან

„ის განაჩენი, რომელიც მას კაცის მკვლელებთან
ათანასწორებს, მთელს ქვეყანას ლაქას, ჩირქსა სცხებს!“

დედოფალი ეუბნება, რომ თუ იმისთანაც მთხოვ, გაპატიებო. უბრძანებს რუსთაველის მოყვანას. ამ დროს მაღხაზიც შემოვა და თან რაღაცა დავთარი შემოაქვს. ისიცა სთხოვს პატიებას, მაგრამ დედოფალი უარს ეუბნება მაღხაზს გულს ელდად ეცემა ეს უარი და დიდის მწუხარებითა და გრძნობით ლაპარაკობს. თამარი და ლიპარიტი გაოცებით შესცქერიან. ბოლოს თამარი რაღაც ეჭვს იღებს და ეუბნება, რომ შენ ის არა ხარ, რადაც თავს იჩენო. მაღხაზი აღარ ჰფარავს საიდუმლოს, გამოუტყდება: რუსთაველი მიყვარს, ქალი ვარ, ამ ორის წლის წინად ვაჟური ტანისამოსი ჩავიცვი, დავგმე მანდილოსანთ სირცხვილი, გდემა, მივედ და მწიგნობრობის სასწავლებლად მივებარე. ჩემი სამოსი მტკვრის პირსა ჰნახეს და ყველას დამრჩვალი ვეგონე. მე ის მიყვარს და ის-კი შენთვის არის გაგიჟებულიო. ბოლოს თვალ-ცრემლიანი ევედრება, რომ მაგმარე ამდენი ტანჯვა, მაჩუქე იმის სიცოცხლე, და უსაყვედურებს: სამართალია განა,

„მე მძულვარ იმას, მაინც ვითხოვ მისთვის სიცოცხლეს,
შენ-კი უყვარხარ და სიკვდილით გსურს რომ დასაჯო“.

შემოჰყავთ რუსთაველი. პოეტი აღტაცებით ლაპარაკობს იმ ქვეყანაზედ, სადაც სიმართლის ნათელი ჰღვივისო. მაღხაზი ეხვეწება დედოფალს, რომ მხოლოდ ეგ და შემრჩენია ამ ქვეყნად და მაგისი სიცოცხლე მაჩუქეო. ბოლოს დედოფალი გულ-ლმობიერად დათანხმდება, რომ

მომავალი არ შემიწყნარებს
მაგ დიდებულის ტკბილ მგოსანის სიკვდილით დასჯას!..

გაეც ბრძანება, განაჩენი გაუქმებულ არს... რუსთაველმა მღეროს ტკბილის ხმით სასიმო ლექსნი, ხელის-ხელთა საგოგმანებნიო! რუსთაველს სიცოცხლე არ ენატრება და იქვე უნდა ხანჯლით გაიგმიროს გული, მაგრამ მივარდებიან ყველანი, თამარი ხანჯალს წაართმევს და მაღხაზი-კი შიშით შეჰკივლებს. პოეტი ხმაზედ შეატყობს, რომ ქალიაო. მაღხაზი დაჩოქილია. თამარი ეუბნება, რომ შენი სიცოცხლე მაგას ეკუთვნისო. რუსთაველი იძახის, რომ ოჰ, არა, არა, მაღხაზ, ისევ ძველ მაღხაზად დარჩი ჩემთვისაო, და შემდეგ თამარს სთხოვს, რომ ნება მომეც ჩემს მოხუც მამასთან წავიდე მთებში. იქ ორივენი თქვენს ლოცვა-კურთხევაში ვიქნებით. წასვლის წინ-კი ეს მცირედი ძღვენი ინებეთ ჩემგანაო, და მუხლ-მოდრეკით „ვეფხის-ტყაოსანს“ მიართმევს.

„გრძელ ღამეთ ფიქრნი, გულის ქენჯნა და სულის შფოთვა
ვაცნე ამ ფურცლებს! მიიღე ეგ, დიდ-სულოვანო!
და როს ამბავი ჩემთა გმირთა აღმოიკითხო,
მოიგონებდე რუსთველს მათთვის ცრემლ-შეუშრობელს!“

თამარი ხელს უწვდის, რუსთაველი ეამბორება და... ფარდა ეშვება.

დ. ნარჩენი შემდეგ.

მ—ძე

*) იხ. „ივერია“ № 28.

---

## ალწერა წერა-კითხვის საზოგადოების ხელ-ნაწერთა.

№ 1257. სხვა-და-სხვა ლოცვები და სჯულის კანონი იოვანე მმარხველისა და სხვა კანონებიც ერთ წიგნათ, ხუცური ხელ-ნაწერი, 22×15, 5 სანტიმეტრი, დაწერილია სქელ მოშაო ქაღალდზე ლამაზას ნუსხა ხუცურას ხელით. ხელი ლოცვანისა სხვაა და სჯულის კანონისა სხვა, მეორე ნა-

---

რამდენიც ვაკვირდებოდი, იმდენი სიუცხოვე და სიმშვენიერე ემატებოდა იმ დალოცვილს მხარეს: დაუსრულებელი გაზაფხული, დაუსრულებელი სიჭაბუკე და სიყვარული იყო გაბნეული მთელს იმის არე-მარეზედ. მე გაშტერებული ვიჯექ და ჩავიხედე პატარა წანწკარას ნაკადულში. მაშინ დავინახე პირველად, რომ ფეხებიდამ საცმელები გამცვივნოდა, თავი შიშველი მქონდა და ტანთ საცმელი შემომგლეჯოდა. რა ესეც დავინახე და ისიც წარმოვიდგინე, რომ ჩემს ბუნებას სიკეთესთან ყოველის ბოროტის ქმნაც ხელიდგან გამოუვიდოდა, თუ საქმე საქმეზედ მიდგებოდა, თავი შემეჯავრა და ესლა წავიდუდუნე: „აფსუსი არ არის ჩემის საზიზღარის ფეხით შევბღალო სიწმინდე და უმანკოება აქაურობისა-მეთქი... რატომ არ დავიკარგები და თავს არ მოვიკლავ, განა ღირსი ვარ აქ ყოფნისა და სიცოცხლისა-მეთქი?“

რა ვიცი რა ხანს გასტანდა ჩემი ამ გვარი მდგომარეობა, ან რას ვიზამდი, თუ მოხუცებულის სიტყვებს არ გამოვეფხიზლებინე, რომელიც მთელი ეს ჟამი სულ ჩემს ცქერასა და კვლევაში ყოფილიყო თურმე. იმან დამიძახა: „რა თავი ჩაგილუნია, იცოდე, სიცოცხლე თვით ედემის ყვავილზედაც უძვირფასესია, მიდი და დაიბანე ხელ-პირი, აღელვებული ხარ“. მეც გავუგონე და დავიწყე ბანა. დავიბანე ხელები, თავი და მკერდი. რომ მოვრჩი, კვლავ წყლის სარკემ მიიქცია ჩემი ყურადღება: სახე სასიამოვნოდ შემცვლოდა, ტანისამოსი მშვენიერი მეცვა და მოხუცებულსაც ტანთსაცმელი გასთეთრებოდა! გულმა ტბასავით სიყვარულით ღელვა დამიწყო; ვიგრძენ გადასხვავება, ვიგრძენ სასწაულებრივი მოქმედება წყაროსი, გავშალე ხელები და გადავეხვიე მოხუცს.. იმანაც არ დამიშალა. „გენაცვალე, მამი, ეს რა ქვეყანაში მომიყვანე, ვეუბნებოდი: „მომეცი ხელი გაკოცო მხურვალედ, ის ხელი, ამ ქვეყანაში რომ მომიყვანა ქვეყანაში, რომელიც დიდი ხანია მენატრებოდა სანახავად. მითხარ, გენაცვა მამი, რას ეძახიან ამ სანუკვარს მხარეს, სადა ვართ?“ — ეს არის, შვილო, „მისწრაფებათა სახელმწიფო“, სადაც ჰყვავიან ედემის უკვდავების ყვავილნი. ამიტომ ყოველივე აქ გამომხატველია კეთილისა, მშვენიერებისა, უსაზღვრო ერთურთის სიყვარულისა და უკვდავებისა. — „მერე ის საკვირველნი ყვავილნი სადღა არიან, სადა ჰყვავიან? ხომ შეგვიძლიან ენახოთ და ერთი მაინც წავიღოთ ჩვენს ქვეყანაში?“ — მოიცა, ნუ სჩქარობ, მალე იმათაც ჰნახავო, მითხრა: მაგრამ ძნელი-კია, შვილო, ძალიან ძნელია იმათი შოვნა, ბევრნი მოსულან და მოდიან იმათ წასაღებლად, მხოლოდ მოცადნი იმათ წაღებისა ცოცხალნი აღარავის უნახავს დაბრუნებულნიო“.

მინდოდა მეთქვა, ოღონდ-კი ისინი დამანახვე და სიცოცხლე იმათ მოპოვებისთვის შემიწირავს-მეთქი, ერთ სიცოცხლედ ერთი წამიერი ნახვაცა ღირდა ამ ქვეყნისა-მეთქი, მაგრამ იმან აღარ დამაცალა, ამოიღო რაღაც საკვირველი სიფრიფანა ხელსახოცი და წამისვა თვალებზედ. უცებ იმ მთის გაწვრივ, შორს გამოჩნდა თვალ-გადაუწვდენელი ოკეანე. იმაზედ განმარტოებით მოჩანდა ერთი პატარა კუნძული, კუნძულზედ იყო დიდი კლდე. კლდეზედ იდგა გასაოცარის სიმაღლისა და ძმვენების ხე და თავიდამ ბოლომდის მოკაზმული იყო საუცხოვო უკვდავების ედემის ყვავილებით, რომლის შუქი და ელვარება გადაჰწვდენოდა ყველა მსოფლიოს სახელმწიფოებს და მოეზიდა მრავალი მეძიებელი. კუნძულს გარშემო სხვა-და-სხვა მდინარებანი უვლიდნენ ზღვისა. სხვა-და-სხვა მხრიდამ მომდინარენი ისინი აქ შეიყრებოდნენ, ეჯახებოდნენ ერთმანეთს და, როგორც ხმალ და ხმალ დატაკებული გოლიათები, საშინელის სიმედგრით ერთ ურთზე იმუსრებოდნენ; ტალღა ტალღას მოსდევდა, ზვირთი ზვირთს ემატებოდა, გრგვინვა გრგვინვასა, და ბოლოს ყველა ეს გადაიქცეოდა ერთს საზარელ ხმაურობად, საიდამაც მხოლოდ ზარბაზნის ქშენასავით ლეწა-მტვრევა-ღა ისმოდა და ნისლიევით გაბმულ წინწკლებიდამ მხოლოდ ვულკანის ცეცხლიეთ ამოვარდნილი მთის ოდენა შადრევნები მოჩანდა აქაფებულის წყლისა!

მართალია, ძნელი იყო კუნძულზედ მისვლა, საზარელი სანახავი იყო ეს აღელვებული და აყვირებული ზღვა, მაგრამ შიშსა და სიკვდილის ზარს ვერ შეეკავებინა ხალხთა სურვილი. ას-კვეცის მიმზიდველობითა და აღტაცებით დაეხატა იმათთვის სურათი საკვირველის ყვავილებისა; ასინი დაჰმორჩილებოდნენ მომჯადოებელს ძალას იდეალისას, წამოსულიყვნენ თავის გემხომალდებით და სულ დაეფარათ მთელი ზღვა კუნძულს გარემემო. აქ ისინი შესდგომოდნენ ცდას ყვავილების შოვნისას. მაგრამ რა საცოდავი სანახავი იყო იმათი მდგომარეობა! რამდენიც გამოსწევდა კუნძულისაკენ, ჯერ ვითომ არხეინად სცურავდა; პიდალოებს შეუპოვრად გამოჰკრონდათ წყალზედ ტყლაშა-ტყლუში და მიაჩქაფუნებდნენ კუნძულისაკენ. ნავი რამდენიც ჰმორდებოდა ხმელეთის ნაპირს და უახლოვდებოდა კუნძულისას, იმდენი სიმარდე ემატებოდა და ბოლოს მხარშემოკეცილ, დახულუზნებულ შავარდენს ემსგავსებოდა, ხოხობზედ მიტევებულს. თითქოს კუნძულიც შორს აღარ იყო, გეგონებოდათ ახლა-კი ნავი მშვიდობით მიადგება სანატრელს ნაპირს და ეღირსება გამარჯვებასაო, მაგრამ საუბედუროდ ნავს თანდათან ეცვლებოდა მიმართულება, თანდათან მიტევებული და შეუფერხებელი ქროლვა აერევ-დაერეოდა და ბოლოს ზღვის საცოდავ სათამაშოდ

წილი უფრო წვრილი და ლამაზი ხელითაა ნაწერი, ვიდრე პირველი, ხელ-ნაწერს თავი და ბოლო აკლია, ბევრი ფურცლები აკლია აგრეთვე შუაშიაც. მელანი შავი და წითელია. ხელ-ნაწერი ეხლა შეიცავს 146 გვერდს, ყდა არა აქვს და წიგნი ისე რვეულებით არის აკინძული. დასაწყისი: ო̃ ღ̃ო ძ̃ლითა არა დასდევ სინ̃ნლი მართალთათ ს... ბოლოს: რ̃ შ̃ნ ხ̃რ ღი ჩ̃ნი დაუსაბამოჲ და გამოუთქმ̃ლი მოხუცდ ქ̃ყნად... აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ლოცვების სათაურებს: 1) ლოცვა განცოფებულისა ნაკბენთათჳს, 2) ლოცვა შეზავებისათჳს ჰაერთასა, 3) ლოცვა წმინდისა იოვანე ოქროპირისა წიგნის კითხვსათჳს, 4) ლოცვა საოხართა სიზმართა და სხვა. ყველაზე უფრო საყურადღებო ამ ლოცვანში არის მე 9 გვერდზე მოყვანილი „სათვალავნი დასაბამითგანთა წელთანი*", რომელნიც, გარდა წელიწადთა სათვალავისა, შეიცავენ ზოგიერთ ხრონოლოგიურ ცნობებს ჩვენი ისტორიის შესახებ. მოგვყავს აქ სრულად ეგ ცნობები: ქრისტეს მოსლვასა დასაბამიდგანნი იყვნეს ჵ ფ. (5,500[1]), და ოდეს ქართლი მოიქცა ნინოს მიერ ქრისტეს ამაღლებითგან ტლჱ (338)-სა და დასაბამითგანთა წელთა ჵჳლჱ (5838)-სა, მოსლვაჲ იქმნა მე-ია (11) ქორონიკონსა, და მეჰმედ იყო მე-იბ (12), და წმინდამან ნინო დაყო ქართლსა შინა წელიწადი იდ (14). ამასვე ჟამსა იყო კოსტანტინე დიდი და დრდატ (დრდტ?) სომეხთა მეფე გრიგოლის მიერ მოიქცა. მირიანისიდგან ვიდრე ვახტანგის მეოთხისა შვილისა ფარსმანისამდე გარდახდეს წელნი სნ (250) და მეფენი იდ (14)-ნი. ამასვე ჟამსა მოვიდა ივანე შუა მდინარით. დასაბამითგანთა წელთა ხჲვ იყო მეჰმედ ბოროტი და შემდგომად ამისა დისწულმან ამისმან ყრუმან წაიღო ყოველი ქუეყანაჲ, რომლისა მიერ იწამნეს დავით და კოსტანტინე. ამისა შემდგომად გამოჩნდა დავით წინასწარმეტყველისა ტომი სახელით ადარნასე, დისწული ადარნასე ბრმისა, რომელი ემზახა შვილთა ვახტანგისთა. აქა იწყო ტომებმან დავით წინასწარმეტყველისამან, რომელ არიან ბაგრატიონნი და დედით ვახტანგიანნი. და ოდეს ბაგრატოანიანთა მეფობაჲ დაიწყეს მე-იგ (13) ქმენი (sic) იყო მვ (46). მეფე იყო აშოტ, რომელი მოკლეს მეგრელთა, ბაგრატ გურგენის შვილი, რომელმან მეფობაჲ აფხაზთა და ქართველთა ერთ ჰყო ქორონიკონსა სლდ (234). ამისთა ჟამთა იყო ეფთჳმე მთაწმიდელი მთარგმნელი ტაოთ. ბაგრატ სევასტიასი ქორონიკონსა სუზ, ამისთა ჟამთა იყო გიორგი მთაწმიდელი. დიდი დავით ქორონიკონსა ტმე, ამისთა ჟამთა იყვნეს ეფრემ მცირე (მცარაჲ?), თეოფილე, არსენი იყალთოელი, იოვანე ჰტას ძე (sic). დავით ტფილისი გამოიღო ქორონიკონსა ტმბ. ესე დავით წინასწარმეტყველისა ოგ (73) შვილი იყო. ოდეს მიიცვალა ქორონიკონსა ტმე. (345). დიმიტრი მეფე მიიცვალა ტოვ (376), გიორგი მიიცვალა ქორონიკონსა ტჟდ (ყდ?)—394. ლაშა დაიბადა ქორონიკონსა ტჟბ (ყიბ?)—402. თამარ მიიცვალა ქორონიკონსა ტჟკზ (ყკზ?)—418 ერთ ჯუმლაჲ მეკლანი დავითისნი უსაქცეოდ ცყე (2805). უკეთუ ეძიებდე ია-სა (11) ე-ულ (5) და ვ-ული (6) იპყარ მის წლისა ლ-ულად (30) გაუტევე და რა დაკრჩეს, ეგდენი იყოს ზედნადები მის წლისა, უკეთუ ეძიებდე ავსებასა ქორონიკონსა, იპყარ ფლბ (532) და ი ეულად (10) გაატევე და რა დაგრჩეს თითომის ით-ტისა (19) განატევები დაჰრთე და რა გქონდეს იგი იგ-ბითა (13), გაატევე და რა დაგრჩეს იგი მცხრილი იყოს და მცხრილი იგი იპყარ ოციდგან მარტისა და ჰრთე დღის საძიებელი მარტისა და ოცსა უმცრო იყოს, მცხრილი აპრილისა მიხუდების და აპრილისა დაჰრთე დღის საძიებელი ზ ული (7) მის წლისა და რა დაგრჩეს, იგი იყოს დღე დიდისა მცხრილისა, რომელი ბზობით დღ თ ვიდრე დიდსა შაბათსაცამდე და დღე იგი დაისწაველე და მცხრილი იგი იპყარ. თუ რაოდენი იყოს მარტსა გინა აპრილსა და მით დღითგან კვრამდე მიათვლე და რაოდენად შეიქნას რიცხვ იგი, ეგდენსა ალვსებაჲ უკეთუ მრ̃ხსა დაადგინებდე ალვსებაჲ. იპყარ მისწლისა, თუ რაოდენსა იყოს თუჱსა შინა და გ (3) სხვაჲ დაათვალე და თუ ნაკი იყოს მის წლისა დ (4) დაათვალე, და ისწავლე, თუ რაოდენად შეიქნეს რიცხვ იგი. უკეთუ მარტსა იყოს ალვსებაჲ, იანვარსა ეგდენსა აკრებების კ̃რცი რაოდენად რიცხვ იგი პ̃ლ თქმული შეიქმნას. და უკეთუ აპრილსა იყოს ალვსებაჲ ფებერვლისა ეგდენსა აკრებების კ̃რცი და პირ-მარხვისა ორშაბათითგან ვიდრე დიდად შაბათამდე მჱ (48) დღე გამოითვალე მარჯვად, და უკეთუ გენებოს ია-სა (11) დაათვალე და ზემო თქმულსა მას რიცხვსა გინა იბ (12) იბ-სა ნაკისათვის და ალებანი განცხადებითგან დასთვალენ. უკეთუ ეძიებდე დღესასწაულსა, თუ რომელსა დღესა არს თუჱსა შინა, რაოდენსა იყოს იგი იპყარ და დღის საძიებელი მისთვისა დაურთე ზ (7) ულიმის წლისა ზ (7) ულად გაუტევე და რა დაგრჩეს, იგი იყოს დღე. უკეთუ თუჱსა დაადგენდე ა (1) იპყარ დღის საძიებელი მის თჳსა დაჰრთე და ზ (7) ულად გაუტევე და რა დაგრჩეს იგი იყოს დღე, რომელსა თუჱ იგი დადგებოდის. უკეთუ ეძიებდე დღის საძიებელსა, იანვარი იპყარ ლა (31) და ზ (7) ულად გაუტევე და ზ (7)-სა უმცრო რა დაგრჩეს იგი არს ფებერვლისა დღისა საძიებელი. ფებერვალი იპყარ კჱ (28) და დღის საძიებელი მისი და დაურთე, ზ (7) ულად გაუტევე და უმცრო რომელ დაგრჩეს, იგი არს მარტისა დღისა საძიებელი, და ესრე სახედ პირველმან შემდგომისა მოგცეს. იანვარი ლა (31), დღის საძიებელი და ანაკრები არა დღეთა ჟამი ი (10) და ღამეთა იდ (14). ფებერვალი გ (3) წელსა კჱ (28) და მეოთხესა კთ (29), დღის საძიებელი გ (3) ანაკრები ერთი, დღეთა ჟამი ია (11) და ღამეთა იგ (13). მარტსა დღე ლა (31), დღის საძიებელი გ ანაკრები არა და ოცამდე ამისთვისა იქმნების. გასწორება დღეთა და ღამეთა, დღეთა ჟამი იბ (12) და ღამეთა იბ (12).

ე. თ---ლი

(შემდეგი იქნება)

*) აქ და ქვემო მოყვანილ სათვალავებში ხშირი არის შეცდომა, მაგრამ ჩვენ არ ვასწორებთ და შეუცვლელად მოგვყავს ისე, როგორც დედანშია.

## უცხოეთი

საფრანგეთი. ტირარის სამინისტროს საქმე როგორღაც საჭოჭმანო შეიქმნა ამ ბოლოს დროს. ჯერ იყო და ამას წინად კინაღამ სპიჩკების წარმოების გამო არ დაიშალა ეს სამინისტრო და ახლა კიდევ კალვინიაკის უკანონო არჩევანების გამო ცოტას გაწყდა შინაგან საქმეთა მინისტრი კონსტანი არ დამარცხდა პალატაში. ტირარი მაინც გულს არ იტეხავს და ამბობს, რომ სამინისტრო მაგრადა სდგას, მტკიცედ არის ფეხ-მოკიდებული და ქვეყანას არ მოაკლებს პოლიტიკას კანონიერებისასა და დამშვიდებისასაო.

— საფრანგეთის გაზეთებში უფრო „Jourual des Debats"-ს მოსწონს რესკრიპტები გერმანიის იმპერატორისა მუშების ბედის განკარგების გამო. გაზეთი ამბობს, რომ ეს რესკრიპტები დიდი და საყურადღებო ამბავია ეხლანდელის საეკონომიო ცხოვრებისაო. საეჭვო-კია, რომ საერთაშორისო გზით შეიძლებოდეს მუშათა საქმის გადაწყვეტაო. „Temps"-ი ამბობს: იმპერატორმა ალბად იმიტომ მიჰმართა ამ რესკრიპტებს, რომ ძალა-უნებურად დაუთმო ერის უმრავლესობის სურვილს, თუმცა-კი საეჭვოა, რომ ამ რესკრიპტებმა შეამციროს სოციალისტების ზრდა და გაძლიერებაო. საყურადღებოა უფრო ის გარემოება, რომ ეგ რესკრიპტები თითქო ბისმარკისა და ვილჰელმის უთანხმოების მომასწავებელი ნიშანიაო. სჩანს იმპერატორს უნდა დამოუკიდებლად იმოქმედოსო. როცა მაზარინი გარდაიცვალა, საფრანგეთში დიდი ლაპარაკი იყო, ვინ იქნება ახლა მისი მოადგილეო. ლუდოვიკო მე-XIV-მ ადვილად გადასწყვიტა ეს სადავო საქმე. აიღო და თითონ იტვირთა იმისი საქმეები. უთუოდ ბისმარკის გამოც ასე აპირობს ვილჰელმი. მოხუცის კანცლერის სიკვდილს შემდეგ, თვითი იტვირთებს იმის საქმეს. ეს-კი უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ხელმწიფეს არ შეუძლიან ლუდოვიკო მე-XIV-სავით იოლად წაიიდეს იმისთანა უმინისტროდ, როგორიც იყო მაზარინი და ან კიდევ რიშელიეო. „Paris"-ი ამბობს, რომ ეგ რესკრიპტები საარჩევანო ხერხია, სხვა არაფერიო. „Figaro"-ს აზრით, ახლა-კი ჩანს ბისმარკის ვარსკვლავიო. „France" ამბობს, რომ მაგ რესკრიპტებით ჩვენი გაბმა უნდათ მახეშიო. რაკი შესაძლოა, რომ საფრანგეთმა უარი სთქვას და მონაწილეობა არ მიიღოს საერთაშორისო გზით მუშათა საქმის გადაწყვეტაში, გერმანია ამას მაშინვე ხელზე დაიხვევს და ქვეყანას გაუყრუებს ყურებს, რომ აი რა ნაირი ზუდეა საფრანგეთი სოციალიზმისაო.

## წვრილი ამბები

ალექსანდრიიდამ მიუტანიათ ლივერპულში ორთქლ-მავალით 180,000 კატის მუმია, რომელიც ეგვიპტის ძველ კატის სასაფლაოდამ ამოუღიათ. ამ სასაფლაოსთვის შარშან მიუგნიათ და ქაიროდგან 100 მილის მანძილზე მდებარეობს. ძველი ეგვიპტელები თაყვანსა სცემდნენ კატებს და როცა ეს კატა მოკვდებოდა, იმის გვამს სწმენდავდნენ და ბალზამს აცხებდნენ, რომ არ გახრწნილიყო. შემდეგ შემოსავდნენ ხოლმე სამოსლით და განსაკუთრებულს სასაფლაოზე ჰმარხავდნენ. ეს კატის მუმიები ლევინგსტონისა და ამს. სავაჭრო სახლს უყიდნია მიწის სასუქად და თითოში მიუცია სამ-სამი თუმანი(?).

— „Scientific American"-ი ამბობს, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში დიდ მდინარეს (კოლორადოს) სათავეში მონადირეები წააწყდნენ შესანიშნავს წყალ-ვარდნილს, რომელიც სიმშვენიერითა და სიდიდით ნიაგარის წყალ-ვარდნილსაც აღემატება, და თუმცა წყლის რაოდენობით ჩამოუვარდება ნიაგარას, მაგრამ სანახავად-კი იმაზედ საუცხოვო და მშვენიერია. წყალ-ვარდნილი სიგანით 300 ფუტია და სიმაღლით—150. წყალს მირად სიპი კლდე აქვს და წყალ-ვარდნილი ზემოდგან წამოწოლილ კლდიდგან ჩამოდის. ამბობენ, რომ თეთრ-კანიანის კაცის თვალს ჯერ არ უნახავს ეს მშვენიერი წყალ-ვარდნილიო.

— სამედიცინო საზოგადოებას ვენაში დოქტორ ზალცერმა აუწყა, რომ თუ ვინმე მოუნელებელი რამ ჩაყლაპა,

ხდებოდა. ზღვა ბევრის თრევა-ტრიალის შემდეგ ერთი ლონიერად გააქანგამოაქანებდა ნავს და საშინელის ძლიერებით დააჯახებდა კლდეს. ნავი კოწიოწ ქცეული ქორის წაღებულ ქათმის ბუმბულივით გაიფანტ-გამოიფანტებოდა ზღვის უბეზედ. ნავში მსხდომარენი ზოგნი ცოცხლები ცვივდებოდნენ წყალში და ზვირთთა ბრძოლაში იღუპებოდნენ, სხვანი, პატარ-პატარა ფიცრებზედ შერჩენილნი, ვინ იცის სად მიჰქონდა შეუბრალებელს სტიქიონს! ასე იღუპებოდნენ ერთნი მეორეთ წინაშე, მაგრამ არავინა ჰფიქრობდა დაბრუნებას! ღმერთო ჩემო! რა მშვენიერი სანახავი იყო იქ მაღლა ყვავილებით მორთული ხე და რა შემაძრწუნებელი იყო ეს აღშფოთებული პელაგონი ზღვისა!

მე აღელვებული ჩუმად ვიდექ და თვალს არ ვაშორებდი ამ სანახავს. გულ-მოდგინედ ვსინჯავდი კუნძულს, ზღვას და თვით უკვდავების ყვავილთა ხეს, თითქო კიდევ რაღაც მინდოდა, რაღასაც ვეძებდი. მართლაც ქვევით, კლდის პირზედ გამოჩნდა შავფოთლიანი ყვავილი; სიტურფით ედემის ყვავილებს ბევრად არ ჩამოურჩებოდა; მხოლოდ ფურცლები შესჭკნობოდა, მწუხარედ გადმოკიდებულიყო ზღვაზედ ერთის პატარა ბორცვიდამ და უიმედოდა გადმოჰხედავდა ზღვის მოუსვენარს, მჩქეფარე ტალღებს, რანიცა წამ და უწუმ ზედ ეხეხებოდნენ და ელამებოდნენ წაღებას. დავინახე-კი და ავარიდე თვალი: ყვავილი რა იყო მთელს იმ უბედურებასთან, რაც დაბლა, კუნძულის სიახლოვესა ხდებოდა. ჩემი გული მაშინ იმ კაცებთან იყო, იმათმა გმირულმა თავ-განწირულებამ მოიცვა მთელი ჩემი არსება. მინდოდა გადავქცეულიყავი და გადავრეულიყავი ზღვაში, ეგებ ერთისთვის მაინც მეშველა, და ვაპირებდი კიდეც ჩემის განზრახვის ასრულებას, მოხუცს რომ არ დაესწრო და არ ეთქვა: „რა თვალს არიდებ, შვილო, არ იცი, რომ ეგ შავ-ფოთლიანი ყვავილი იმ ქვეყნის ბედის ყვავილია, სადაც ღმერთნი ღმერთობდნენ და მეფენი მეფობდნენ?"

მე აღარა ვკითხე, სად იყო ეს მხარე ღმერთთა ღმერთობისა, ან მეფეთა მეფობისა, თითქო თავში მძიმე რამე დამარტყესო, თვალთ დამიბნელდა და ბავშვივით ტირილი დავიწყე. „რა, შვილო, რა გატირებს?" კიდევ შემეკითხა მოხუცი. მე პასუხი აღარ მივეც, მავუბრუნდი და ვუთხარ: „გამიშვი, მამი, მართალია, არც ცურვა ვიცი, არც ნავის ხელი, მაგრამ მე აქ არ შემიძლიან გულგრილად ვიჯდე და ვუცქირო, თუ როგორ იღუპებიან ჩემნი თანამოძმენი. წავალ, ან ძირიანად მოვსპრი იმ ხეს, რომელსაც ის საკვირველი ყვავილები ასხია, ან მეც იმათთან ხელ-ჩაკიდებული დავიღუპები; იმათთან სიკვდილი მირჩევნიან ცოდვიანსა და ჭირიანს ქვეყანაზედ არსებობას!"

— მოიცა, შვილო, ზღვასთან მივიდეთ და მერე შენ იცი, მხოლოდ თვალები დახუჭე.

მეც გავუგონე. ასე თვალ-დახუჭული რამდენიმე ხანი მატარა. მერე დამაყენა და თავზედ ხელი დამადვა, მგონია ლოცულობდა. მერე მითხრა: „თვალები აახილეო". ნავში ვიჯექ ზღვის ნაპირას. მერე ერთი ლონიერად შეატოკა ნავი და შემაგდო ზღვაში, გადამსახა ჯვარი და მითხრა: „წადი, ყოველთ მბედავი და მშველი მამა იყოს შენი მფარველი და აგერ ის ყვავილნი შენის გზის მაჩვენებელნი". მეც ნიშნად მადლობისა თავი დავუკარ და დავიწყე ცურვა იმ მხრივ, საითკენაც მოჩანდა ის საკვირველი კუნძული. სანამ ვხედავდი, მოხუცი იქვე, ზღვის ნაპირზედ იდგა და არ მაშორებდა თვალს. ბოლოს ისიც მიმეფარა და ხმელეთიც! ზედ ერთომ ქარიც ამოვარდა, ზღვას ნისლი დაეცა: ნავმა ტოკვა დაიწყო არყის ფოთოლივით; მზეც ჩაიდა და სიბნელემ მოიცვა არე-მარე. ვიცქირები აქეთ-იქით, მაგრამ აღარსად ხმელეთია, აღარსად მისწრაფებათა კუნძული,— ორნივე დამალულან ჩემის მხედველობისათვის. მხოლოდ ავდარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა; ზღვა მრისხანებდა და ბორბლებს ზედ მაშლიდა; ნისლი თვალებს მიბამდა; ღელვა მაყრუებდა. მე-კი უშიშრად ვიდექ იმ მხრივ, საითკენაც სანუკვარი კუნძული მეგულებოდა, და მოვაყოლე მღერა:

ღამის დავკარგო ნანატრი,
ღამის გზა ამერიოსა;
ღამის ბაღდიკით ავტირდე,
ცრემლები მამერიოსა.
ცა მე აღარა მფარველობს,
მახვევს ნისლსა და ქარებს;
შორს მიმეფარა ხმელეთიც,
ველარ მივაწვდენ თვალებსა!
სიბნელე გზაში მიდგება,
არ მაძლევს განტევებასა;
ზღვა მემუქრება დანთქმასა,
ტალღა თან გაყოლებასა!
მაგრამ არ შევსდგე! იარე,
ნავო, იფრინე, ფრთიანო!
იქ არის ჩემი მიჯნური,
სიკვდილი რასა ჰქვიანო?!
ზღვაო, იქნება დამღუპო,
როგორც სხვა ბევრი მრავალი,
იქნებ გზა დამაკარგვინო,
ველარ გავიგო სავალი,
მაგრამ სანამდის ვცოცხალვარ
და ვგრძნობ გულისა ბგერასა,
შენს დიდს როყინთან ჩემს სუსტსა
არც მე გავწყვეტავ მღერასა.
ამიტომ ნურცა ჰტრაბახობ,
ნურც თავი გედიდებაო;
წარბსაც ვერ შემახრევინებ,
თავი არ მომიკვდებაო:
გატაცებული ტრფობითა
ცეცხლსაც არ ერიდებაო!
თუნდა ესწავე დავეცე,
ბაგე დამემტვრას ნავისა,
არა ვარ დამბრუნებელი,
არც დამნებები თავისა:
იქ არის ჩემი სიცოცხლე,
ჩემი მზე იქა ჰყვავისა!

ბაჩანა

1889 წ.

მაგალითებრ რკინა, ტყვია და ან სხვა, ამ გვარ ავადმყოფს საშველად მხოლოდ კარტოფილი უნდა აჭამოთ. მაშინ გადაყლაპული რკინისა, ტყვიისა და ან სხვისგან მალე განითავისუფლებს თავს და არავითარი ზიანი არ მიეცემა.

# დეპეშები

5 თებერვალი

პეტერბურგი. ხმა ისმის, რომ ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო სოფელში არყის მხდელთ ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოსკოვის ახლო-მახლო მიდამოებისას ჩააბარონ ხოლმე თავიანთი არაყი შესანახად სახელმწიფო საწყობებს ბეის შეუტანელად და ხარჯ-გაუწევლად, იმ ხარჯს გარდა, რაც საჭირო იქნება არაყის მოსატანად საწყობამდეო.

სოფია. პანიცა გამოტყდა, რომ შეთქმულობის საგნად იყო კობურგელის პრინცის ჩამოგდება ტახტიდამ და სტამბულოვის მოშორება თაეიდამაო, რადგან მათი მართვა-გამგეობა მავნებელია ბოლგარიის სალიბერალო დაწესებულებათათვისაო. პანიცას სიტყვით, შემთქმელნი მაინც უცხოელების გავლენის ქვეშ არა ყოფილანო.

6 თებერვალი

პეტერბურგი. გუშინ მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით მონათლულ იქმნა კონსტანტინე მთავრის ასული ტატიანა.

გაზ. „Новости“ იუწყება, რომ საერო გარდასახადისაგან აპირობენ გაანთავისუფლონ შემდეგი მამულები: ის მიწები, რომელიც დიდის გმირჯვენის დროს ეკკლესიებისათვის დაუმტკიცებიათ, სამონასტრო მამულები, ის მიწები, რომელიც ეკუთვნის დედათა საზოგადოებას და საარქიელო სახლს 200 დესეტინამდე მონასტრისათვის და 60 დესეტინამდე თვით არქიელის სახლისათვის. აგრეთვე თავისუფალი უნდა იყოს ამ გადასახადისაგან ის მამულები, რომლის შემოსავალიც ხმარდება სასწავლებლებს. ყველა სხვა მამულებმა და უძრავმა ქონებამ-კი უნდა იტვირთოს საერო გადასახადი; ეს გადასახადი დაედება იმ წილს შემოსავლისას, რომელიც მეტია იმაზედ, რაც საჭიროა თითოეულის საეკკლესიო დაწესებულებისათვის ხარჯად იმ გვარსავე მამულების შემოსავლიდამ.

პეტერბურგის ბირჟა, 1 თებერვალი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | „ | 7 32 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 146¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | 240 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 229 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | 218¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

თებერვალი 28 დღით არის

7 დღე ოთხშაბათი. ქართველ ღირსისა მამისა პართენ ეპისკოპოსისა და ლუკა ელადელისა. კათოლ. წმ. რომაულდასი და კლოტილდასი. სომეხ. მარხვაა. მზე ამოდის 6—19, ჩადის 5—38 მთვარე 29 დღისაა.

## განცხადებანი

ტფილისის საბალოსნო სკოლაში

### ისყიდება

ხეხილი, დასამშვენებელი ხეები და ბუჩქები ერთ წლიანებიდამ დაწყებული ოც წლიანებამდე.

(10—6)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

### წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება სკსილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |

მიიღება ხელის-მოწერა 1890 წლისათვის ორკვირეულ გამოცემათა ქართულს

## „მწყემსზედ“

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზედ.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლეს სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საქმეო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის ასრულების გარდა, არის: 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავი და საინტერესო „მწყემს“-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა, და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით | „მწყემსი“ | 5 მ. | | 6 თვით | „მწყემსი“ | 3 მ. |
| — | „ ორივე გამოცემა | 6 „ | | — | „ ორივე გამოცემა | 4 „ |
| — | „ რუსული | „ 3 „ | | — | „ რუსული | „ 2 „ |

რედაქცია იმყოფება ქ. ტფილისში, ოქრომჭედლების ქუჩაზე, № 20, რედაქტორის საკუთარს სახლში.

რედაქციას აქვს კანტორა: ქ. ქუთაისში, ხახანაშვილების სახლში, და დ. ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლში.

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე კანტორაში გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ контору редакціи „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

## НАСТОЛЬНЫЙ ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ БРОКГАУЗА

изданіи А. Гарбель и К-о.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ москвѣ, въ магазинахъ: Дейбнеръ [Кузнецкій мостъ] Якобсонъ (Неглинная), „Сотрудникъ Школъ“ (Воздвиженка), Карбасниковя Моховая и въ его отдѣленіяхъ въ Петербургѣ и Варшавѣ], Ильинъ Фену и К. (Петровскія линіи и въ его отдѣленіи въ Потербургѣ) и въ конторѣ Гиляровскаго (Петровка, Столешниковъ пер., д. Карзинкина)

Словарь будетъ выходить въ свѣтъ съ начала 1890 года, отдѣльными выпусками, отъ 2-хъ до 3-хъ листовъ in 40 Всѣхъ выпусковъ предполагается 50.

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на всѣ выпуски на лучшей веленевой бумагѣ 12 руб.
„ „ „ „ обыкновенной „ 10 „
„ каждый выпускъ отдѣльно на лучшей бумагѣ 35 коп.
„ „ „ „ „ обыкнов. „ 25 „
Цѣна словаря въ продажѣ (неподписчикамъ): на лучшей бумагѣ—20 руб.
„ обыкнов. „ 15 „

Подписчики по выходѣ всѣхъ выпусковъ въ свѣтъ получаютъ: **карты, рисунки и роскошную папку БЕЗПЛАТНО.**

Вся немецкая печать еоиногласно и самымъ лестнымъ образомъ отозвалась объ энциклопедическихъ трудахъ Брокгауз такъ между прочими „Neue Freie Presse“ говоритъ, что въ настоящее время энциклопедическій словарь Брокгауза необходимъ не только для каждаго образованнаго. но и для всяка о любознательнаго человѣка, ибо даетъ отвѣты на всевозможныя справки по всѣмъ отраслямъ человѣческаго знанія. Словомъ, эта книга—„сама необходимость“.—

Словарь этотъ отвѣчаетъ на вопросы: антропологіи, археографіи, археологіи, астрономіи, ботаники, военной науки, всемірной исторій, геогнозіи, географіи, геологіи, гидротехники, зоологіи, искусстъ, коммерческой науки, всеобщей литературы, литографіи, математики, медицины, минералогіи, морскихъ дѣлъ, палеонтологіи, петрографіи, политической экономіи, психо-философіи, финансовой науки, фотографіи, химіи, художественной промышленности. электротехнини, эстетики, этнографіи, юриспруденціи и т. п.

Адресъ издателей Почтѣ извѣстенъ.

(5—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ. —კ. | | 6 თვით . . . | 6 მ. —კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

### „КАВКАЗСКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“.

Содержаніе газеты: частныя объявленія и рекламы, которыя принимаются къ напечатанію на русскомъ, французскомъ, нѣмецкомъ, армянскомъ, грузинскомъ и татарскомъ языкахъ; свѣдѣнія, имѣющія справочный характеръ, какъ то: получаемыя въ Тифлисѣ телеграммы „Сѣвернаго Агентства“, биржевыя, промышленныя, торговыя и коммиссіонныя справки, полицейскій, думскій и судебный бюллетени съ извѣстіями о банкротствахъ и торговой несостоятельности, некрологи, списки недоставленныхъ телеграммъ, такса на продукты, календарь время отхода и прихода поѣздовъ з. ж. дороги и пароходовъ на Черномъ и Каспійскомъ моряхъ, а также срочныхъ экипажей по военно-грузинской дорогѣ; врачи и врачебная помощь, театры, зрѣлища, увѣдомленія о засѣданіяхъ обществъ, актахъ, юбилейныхъ и другихъ торжествахъ и народныхъ праздникахъ, свѣдѣнія о полученныхъ грузахъ и товарахъ и т. под.

### ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

**Городскимъ подписчикамъ:**

На годъ съ доставкой на домъ. 1р. 20к.
На полгода . . . . . — 80 „

**Иногороднымъ подписчикамъ:**

На годъ съ пересылкою. 1 р. 80 к.
На полгода „ . 1 р. —

Городскіе подписчики, получающіе какія—либо изданія, выходящія въ г. Тифлисѣ, **платятъ**, по предъявленіи ими квитанціи на подписку въ контору газеты «**Кавказскія Объвленія**» и въ отдѣлъ, лишь **60к въ годъ**.

Для прочтенія „Кавказскія Объявленія“ предлагаются публикѣ въ вагонахъ тифлисск. трамвая, въ подъѣзжающихъ къ Тифлису поѣздахъ закавк. ж дор. изъ Баку и Батума и срочныхъ экипажахъ по военно-грузинской дорогѣ. За помѣщеніе объявленій взимается по 4 коп со строки петита. Подписавшіеся же на газету „Кавказскія Объявленія“, при сдачѣ объявленій не менѣе 15 разъ, пользуются большою скидкою по соглашенію съ конторою. Траурныя объявленія лишь на первой страницѣ; **плата за каждый разъ по 2 рубля.**

Контора и редакція газеты „Кавказскія Объявленія“ помѣщаются на Гановской улицѣ, при конторѣ нотаріуса **А. Г. Мамиконова**, а отдѣленіе: на углу Головинскаго проспекта и Барятинской улицы, въ павильонѣ Хиддекеля.

Адресъ для телеграммъ: Тифлисъ, „Кавказскія Объявленія“.

(5—3)

Редакторъ-издательница **Н. П. Слинко.**

Доз. ценз. Тифлисъ 6-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე